

ნინო ჩირგაძე

სახადის კულტი სამცხე-ჯავახეთში

სამცხე-ჯავახეთში ყველაზე მეტად გავრცელებულ და საშიშ დაავადებებს ბავშვთა ინფექციური სნეულებანი ე.წ. სახადები წარმოადგენდა, რომელთაც **ბატონებს**, იშვიათად **ანგელოზებს** და **სახადსაც** უწოდებდნენ. ამ დაავადებებს განეკუთვნება: **ყვავილი || დიდი ბატონები, წითელა, ქუთრუშა || ქუთეშა || ყელათმა, ჩუტყვავილა || წყლის ყვავილი || ქშუტი, წითურა, ყბაყურა, ყივანახველა || ხველა ბატონები.**

სახადებთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთში ისევე, როგორც მთელ საქართველოში მდიდარი რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებებია დამონშეული, რაც ამ დაავადებათა განსაკუთრებული ბუნებითა და ხასიათით იყო განპირობებული.

აღნიშნული რეგიონის მოსახლეობისათვის კარგად იყო ცნობილი ზემოაღნიშულ დაავადებათა ძირითადი თვისება იმუნიტეტის გამომუშავების უნარი, რაზედაც მიუთითებს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მონოდებული მასალა, ასევე ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა აღმნიშვნელი ერთ-ერთი ტერმინი სახადი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მათ შორის სამცხე-ჯავახეთშიც დასტურდება.

სამცხე-ჯავახეთის მკვიდრმა მოსახლეობამ საუკუნეების მანძილზე ემპირიული დაკვირვების შედეგად საკმაოდ მდიდარი ცოდნა დააგროვა აღნიშნულ დაავადებათა შესახებ და ამ ცოდნაზე დაყრდნობით მათი გავრცელების წინააღმდეგ თუ მკურნალობის მიზნით სხვადასხვა რაციონალურ ზომებს მიმართავდა.

გადმოცემით, ბატონები **ღმერთის კარზე** ცხოვრობდნენ, ისინი **ღვთისგან** იყვნენ გამოგზავნილები, ადამიანს თავის ცხოვრებაში ერთხელ მაინც სახადი უნდა დამართვოდა და ამით ღმერთის წინაშე ვალი მოეხადა. ერთ-ერთი მთხრობლის მიხედვით, ისევე როგორც ბატონის წინაშე უნდა მოეხადა გლეხს თავისი ვალი ე.ი. მიეცა მოსავლის გარკვეული ნაწილი, ისე ადამიანს უნდა მოეხადა სახადი – **ღვთის წინაშე ვალი**. სწორედ სახადის კულტი ამიტომ სახადებს: წითელას, ყივანახველას და სხვ. სამცხე-ჯავახეთში **ღვთის ვალსაც** უწოდებდნენ.

ასეთი წარმოდგენა სახადების შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დასტურდება, რასაც მოწმობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სახადების აღმნიშვნელი ერთ-ერთი

გავრცელებული სინონიმი ღვთის ვალი [8; 117]. იმერეთშიც, ამ უკანასკნელ ხანებში ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, სახადები წმინდა, ღვთიურ სნეულეებზედ მიაჩნდათ [11; 3].

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ცნობით, ბატონების მოსვლას სიზმარში იგებდნენ, ეჩვენებოდათ ძირითადად ადამიანების სახით მაგ., ყვავილი და ჩუტყვავილა ქალებზედ წარმოედგინათ, რომელთაც წყლიანი მუნუკები **ეყართ**, წითელა მხედრად მიაჩნდათ, კანზე **მშრალი** გამონაყართ. ზოგიერთს ბატონები ჭრელი **წითელ-ყვითელი** პეპლებივით ეჩვენებოდა, ზოგიერთი კი მათ საერთოდ უხილავად თვლიდა. ამ მიმართებით საინტერესოა გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული მასალა, რომლის მიხედვით: სამცხე-ჯავახეთში „ბევრს ნანახი ჰყავდა ბატონები, ისინი ადამიანებივით იყვნენ, შვიდი და-ძმანი, ხედავდნენ, იცინოდნენ, ბრაზდებოდნენ და სხვა“ [5].

გ. ზედგენიძის ცნობით, ბატონები „ერთხელ ერთ კაცს შეხვედრიან და გაუფრთხილებიათ კიდევ, ჩვენ შვიდი და-ძმანი ვართ ბატონებიო, წადი და დაიარე სოფლები და უთხარი: ჩვენ უნდა მოვიდეთ, სიამოვნება და სისუფთავე ჰქონდეთო, ჩვენ მოვალთ ამდენ ქალს, ბიჭს და გოგოს ნავიყვანთო“ [4; 32].

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ბატონები ადგილობრივ მოსახლეობას შვიდ და-ძმად წარმოედგინა. ეს წარმოდგენა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სახადებში შვიდი დაავადება ერთიანდება, მაგრამ სქესის მიხედვით მათი დაყოფის შესახებ მასალის მოძიება ჭირს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჩვენს მიერ ზემოთაღნიშნული სიზმრის მიხედვით წითელა კაცად მიაჩნდათ, ხოლო ყვავილი და ჩუტყვავილა ქალად, მაგრამ აღნიშნული მასალის გარდა ჩვენ სხვა მონაცემები არ გაგვაჩნია, ამიტომ დაბეჯითებით ამ საკითხზე ვერაფერს ვიტყვით. ივ. ჯავახიშვილი ეცადა გაერკვია ბატონების სქესი [21; 195], მაგრამ ეს საკითხი დღესაც გაურკვეველი რჩება.

ერთი რამ კი ცხადია, რომ სახადებს განასხვავებდნენ სირთულის **სიმძიმის** მიხედვით. მიაჩნდათ, რომ სახადი ცხრადლიანი იყო. იწყებოდა მაღალი ტემპერატურით, რომელიც სამ დღეს ჰქონდათ, მეოთხე დღეს კი კანზე გამონაყარი გაჩნდებოდა, რომელიც სამი დღის შემდეგ უნდა გამქრალიყო, ხოლო ცხრადლის შემდეგ სახადი მორჩენილად ითვლებოდა.

თითოეულ დაავადებას თავისებური სიმპტომი ახასიათებდა: მაგ., **ყბაყურამ** ყბების **ჩამოსიება** იცოდა, ზოგჯერ შეიძლება მხოლოდ ცალი მხარე შეშუპებულიყო, ძირითადად ძალიან მტკივნეულად მიმდინარეობდა, ავადმყოფს ყლაპვაც უჭირდა.

ყბაყურას ხანგრძლივობა დაახლოებით 30 დღით განისაზღვრებოდა. მაგრამ იოლი ფორმის დროს შეიძლება 9 დღეშიც მორჩენილიყო. ამ დროს ავადმყოფს სითბო ესაჭიროებოდა და ამიტომ სამკურნალოდ მიმართავდნენ სითბურ კომპრესებს: მაგ., ცოტაოდენ თაფლში შაქარს დაუმატებდნენ, წაუსვამდნენ ბამბაზე და ყურზე შემოადებდნენ ან ღვალის [ღუმეხ] მოხარშავდნენ, განურავდნენ, შაქარს მოაყრიდნენ და ისე შემოადებდნენ. ზოგჯერ შაქარს ბამბაზე მოაყრიდნენ და ბავშვს ყურში ჩაუდებდნენ.

გადმოცემით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამკურნალო საშუალებები ეფექტურად მოქმედებდა.

ყივანახველას ახასიათებდა: ტემპერატურის მომატება და ხველა, იტყოდნენ: **მიიჟინამს** ე.ი. მოაცდის, თავის ნებაზე მოვა და წავაო. ხველების დროს თითქოს აყივლებდა და შეიძლება ბავშვი გალურჯებულიყო. ყივანახველის ხანგრძლივობა 40 დღით განისაზღვრებოდა და თუ გართულდებოდა წლამდეც გრძელდებოდა.

ყივანახველას შემდეგნაირად მკურნალობდნენ: ავადმყოფს ასმევდნენ ღვალის დამტკბარ ნახარშს, აუღულარ ცხენის ან ვირის რძეს დღეში რამდენჯერმე და სხვა.

მკურნალობის ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენდა ავადმყოფის გაძვრენა კაკლის ხის ფესვებში, რაც თითქმის მთელ საქართველოშია დამონშებული. კაკლის გაშიშვლებული ფესვი, ხალხური წარმოდგენით, მეხის დაცემის შედეგი იყო. ჩურსინის ცნობით, ყივანახველიანი ბავშვის გაძვრენა მხოლოდ ნამეხარი კაკლის ფესვებში იძლეოდა დადებით შედეგს [19; 95]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნამეხარი კაკალი წმინდა ხედ ითვლებოდა და სწორედ ამიტომ ის დადებითად მოქმედებდა ყივანახველაზე, როგორც ღვთიურ დაავადებაზე [9; 162].

ადიგენის რაიონში, სოფ. არალში, მდებარეობს წმ. იოსების სახელობის კათოლიკური ეკლესია, რომლის ტერიტორიაზეც შუაში მრგვლად ამოჭრილი ქვა ინახება, რომელიც წმინდა **სასწაულიან** ქვად ითვლება. გადმოცემით, ყივანახველის დროს ბავშვებს ამ ქვაში გააძვრენდნენ. აქ დადიოდნენ როგორც კათოლიკეები, ასევე მართლმადიდებლები. იცოდნენ ზედადგარში და წივაში გაძვრენაც. ამ უკანასკნელს გამოთხრიდნენ და ბავშვს იქ გაატარებდნენ.

ზემოაღწერილი წესი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც გარდამავალი ე.წ. გადასვლის რიტუალი, სადაც სიმბოლურად აისახება ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლა, ადამიანის მეორედ დაბადება [1; 20, 14] ან შესაძლებელია კაკლის ხე, წმინდა

ქვა, ზედადგარი განიხილებოდა, როგორც საკრალური სიმბოლოები და რიტუალსაც საკრა-ლურთან ზიარების დანიშნულება ჰქონდა. ჩვენ ეს უკანასკნელი უფრო ლოგიკურად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ რიტუალის ხალხური ინტერპრეტაცია სწორედ ამგვარია.

ბავშვს თუ ყვიანახველა გაურთულდებოდა, ე.ი. **დიდი ხველა** როცა ჰქონდა, გამოაცხოებდნენ პატარა პურებს, გახვრეტდნენ, გზაჯვარედინზე დადებდნენ და იტყოდნენ: მყეფარე მოვიდეს, მყეფარმა წაილოსო. იცოდნენ პატარა მაგიდის **ტაბლის** დადგმაც, რომელზეც ტკბილეულსა და **პურის კოკრებს** დააწყობდნენ. ამ უკანასკნელს ძაფზე ჩამოაცვამდნენ და ხეზე ჩამოკიდებდნენ, რადგან ჩიტი შეჭამდა და ავადმყოფობასაც თან წაიღებდა.

ქუთრუშას ქუთეშას და **ყელათმას** ეძახდნენ, იტყოდნენ: აშარი ბატონებია და თავნებანიო. ქუთრუშას დროს სახე დაუსივდებოდათ, ახასიათებდა სიცხე, ყელის ტკივილი და მეოთხე დღეს გამოაყრიდა მოლურჯო ფერის ქვიშისებრი გამონაყარი – **შექვიშავდა**. ის ვი დღე მიმდინარეობდა.

ჩუტყვავილას აღნიშნულ რეგიონში **ქშუტს** და **წყლის ყვავილს** ეძახდნენ. ავადმყოფს პირველი სამი დღე სიცხე ჰქონდა. შემდეგ თეთრი ფერის წყლიანი მუნუკები დააყრიდა, რომლებიც გასკდებოდა და სამ დღეში მთლიანად აიკრიფებოდა. ეს დაავადება 9 დღე გრძელდებოდა.

წითელას დროს სამი დღის სიცხის შემდეგ წითლად დააყრიდა, მეოთხე დღეს სწითლე გაფერმკთალებას იწყებდა, სამ დღეში კი კანი მთლიანად გასუფთავდებოდა. წითელა 9 დღე მიმდინარეობდა და ხშირად რთულდებოდა, რაც ყველაზე ხშირად თვალეზე აისახებოდა.

ყვავილი ყველაზე მძიმე დაავადებად იყო მიჩნეული და მას **დიდ ბატონებს** ეძახდნენ. ყვავილმა პირველი სამი დღე მალალი სიცხე, თვალეზის, თავის, სახსრების ტკივილი იცოდა, მეოთხე დღეს გამოაყრიდა. ყვავილმა **დიდრონი** მუნუკები იცოდა და როცა **უბრუნდებოდათ** ე.ი. როდესაც გამონაყარი აიკრიფებოდა სახე **დაჩელილი** ე.ი. ნაყვავილარი დარჩებოდათ. ყვავილი მეცხრე დღეს უნდა მომშრალებულიყო, მაგრამ 40 დღე მანაც საშიში იყო.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით სახადები სნე-ულ-ებებია: წითელა – სენია, ყვავილი – სენია, ქუთრუშა – სენია და ა.შ. [6].

ძველ სამედიცინო წიგნებში სახადები უკვე XI საუკუნიდან იხსენიება. მაგ., „უსწორო კარაბადინის“ მიხედვით: „ცხრო რომე ყუავილისაგან იქნების. მისი ნიშანი ესე არის: ერთობილი ტანი ცეცხლივითა იყოს და თუალნი გაუწითლდენ და თავი ასტკივდეს და ტანსა ქავილი დაეწყოს და წყურვილიცა დაუწყოს და ჭკუაცა შეცვალოს და გულშიცა შიში ჩავარდნოდეს“ [15; 229], ან „ნიშანი მისი ეს არის, რომე გაცხელდეს და სამსა დღესა უკლებად მწოვედ ზურგი და წელი სტკიოდეს და... მისი მიზეზი სისხლისა განედლებისაგან იქნების, რომე ტანშიგა მიემატების. ერთი ნიშანი ის არის, რომე პირი გაუწითლდების და თვალნი და თავი მძიმედ ჰქონდეს; რა ეს ნიშანი ნახო, იცოდი, რომე ყვავილი გამოესხმის“ [15; 517]. „ნიგნი სააქიმოში“ აღწერილია დაავადება წითელა: „ნიშანი წითლისა მანკისა: „იგი არს, რომელ პირი მშრალად ედგას და სნეული შფოთად ჩქარად იყოს, და თვალნი წითლად ედგნენ და ბუნებაი ეშლებოდეს...“ [20; 266].

ცნობილია, რომ ყვავილი საქართველოში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული. აღსანიშნავია, რომ საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება, სადაც დამოწმებულია სახადის კულტი ყვავილის აცრის უძველესი ხალხური წესი – ვარიოლაცია, რომელიც, საქართველოდან კონსტანტინოპოლის გზით გავრცელდა ევროპაში [13; 193-200, 6; 134].

სამცხე-ჯავახეთის მონაცემებით აღნიშნულ მეთოდს იცნობდნენ ამ კუთხეშიც. მაგ., ცნობილი იყო **ხარისჭირაშვილების** გვარი, რომლებიც აკეთებდნენ ყვავილის სანინაალმდეგო აცრას. მათი წინაპრები ყოფილან ადუაშვილები ჯავახეთიდან, სოფ. ბარალეთიდან, ხოლო ხარისჭირაშვილის გვარი მათ იმის გამო მიიღეს, რომ აკეთებდნენ **ხარის ჭირის** წამალს. ცნობილი იყო გვარამაძეების, ლომიძეების, ხმალაძეების გვარებიც, რომლებიც ზემოაღნიშნულ პრაქტიკას ეწეოდნენ [16; 19].

სამცხე-ჯავახეთში ბატონების მკურნალობა აკრძალული იყო, იტყოდნენ: თავისით უნდა დაიყვავილოს, მხოლოდ მობოდიშება და პატივისცემა უნდაო.

მობოდიშების მიზნით ბატონებს შემდეგი სიტყვებით მიმართავდნენ: „ბატონებო კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, როგორც კარგად მობრძანდით, ისე წადით“ ან „ლმერთო, შენ შეგვიფარე, შენი კალთა გადაგვხურე, შენი გამოგზავნილია, შენ მოგვანიჭე, წაიღე, მშვიდობით გადაგვატარებინე“.

აღნიშნულ რეგიონში სახადებით დაავადებულთა მოვლის გარკვეული წესები დავამოწმეთ. ყვავილის, წითელასა და ქუნ-

თრუმას დროს, დაავადებული ბავშვის მოვლის წესები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა, მაგ., ავადმყოფი ცალკე, იზოლირებულიად იწვა სუფთა ოთახში, ის მშვიდად უნდა ყოფილიყო და მას დედა ან ბებია მოუვლიდა. ოჯახში ბავშვს ალერსიანად ექცეოდნენ, არ აწყენინებდნენ და ცდილობდნენ მისი ყოველი სურვილის დაკმაყოფილებას, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, რომ ეს სურვილები თვით ანგელოზების სურვილებს წარმოადგენდა. ბავშვს არიდებდნენ ხორციან, მლაშე, ცხარე საკვებს და მსუბუქი და ტკბილი საჭმელით კვებავდნენ: ყველი, რძე, მანონი. იკრძალებოდა გამონაყარის მოფხანა, მობანა და სხვა.

ბატონების (ძირითადად ყვავილისა და წითელას) დროს, ავადმყოფი ბავშვის ოთახს მორთავდნენ წითელი ან სხვა ფერადი ჩითის ნაჭრებით, საწოლსა და ბალიშზეც წითლებს გადააფარებდნენ, ეს იმიტომ, რომ ბატონებს წითელი ფერი უყვარდათ და მასზე ისვენებდნენ. ბავშვს ლოგინის თავთან **ტაბლას** გაუშლიდნენ, რომელზეც დაანყობდნენ: კამფეტებს, თაფლს, მურაბას, წითელ კვერცხებს და სხვა. ავადმყოფი ბავშვის საწოლზე კი შარბათს შეასხურებდნენ, ეს იმიტომ, რომ ბატონებს ტკბილი უყვარდათ და არ **განაწყენდებოდნენ** ე.ი. ავადმყოფობა არ გართულდებოდა.

გადმოცემით, თუ ისე მოხდებოდა, რომ ოჯახში სამი ბავშვიდან ერთს არ შეხვდებოდა სახადი, იტყოდნენ: „არ დაუბრძანდა არ მოუწონა“, ე.ი. ბავშვი ღმერთისაგან **დანუნებული** იყო.

სამცხე-ჯავახეთში ბატონების დროს ოჯახში იკრძალებოდა: ხმაური, ჩხუბი, ტირილი, საკლავის დაკვლა, პურის გამოცხობა, ცეცხლის ანთება და სხვა. განსაკუთრებით ერიდებოდნენ ხორცისა და თევზის მოხარშვას, ასევე ღორისა და ქათმის **გაფუფქვას**, ამ უკანასკნელს მთელი საგვარეულო უნდა მორიდებოდა. ზედგენიძის მიხედვით: „მე დიდი ბატონებით ვიყავი ავად, და ჩვენებმა არ იცოდნენ, დედაჩემი პურს აცხობდა ბუხარში. რო გამოაცხო და მორჩა, საჯი გამოიღო (საჯი ბრტყელი ამობერილი ზედაპირის მქონე თუჯია, რომელზეც პურს აცხობენ ხანდახან) მეც იქვე ვინექი, უცხად ვითომ ფეხებზე, საბნის გარეთ ცეცხლი მომეკიდა და ვინოდი. ხოლო საბანს არ მოეკიდა. ვიყვირე ცეცხლი მეკიდება-მეთქი. საჯი მომაცილეს, და ნელნელა ცეცხლიც ჩაქრა. ფეხებიც დამენვა რაც საბნის გარეთ მქონია და ნამდვილი ცეცხლით დამწვარივით მენოდა და ტყავი გამძვრა. საბანი და ლოგინი კი არ დაიწვა. ცეცხლი ბატონებმა მომიკიდეს. ჩვენ რო დავგწვით, შენც დაიწვი ვნახოთ კარგიაო“ [4; 34]. ბატონების დროს ოჯახში არც საჭმელს გააკეთებდნენ, არც წყალს აადულებდნენ. ავადმყოფი ბავშვის დედას რეცხვაც

ეკრძალებოდა, რადგან ის დაიღლებოდა და ბავშვს ველარ მოუვლიდა. აკრძალული იყო აგრეთვე ალკოჰოლის დალევა და ყოველგვარი ხელსაქმე (ქსოვა, კერვა). არ შეიძლებოდა ავადმყოფი ბავშვის მშობლების ერთად დაწოლა, იმიტომ რომ, როგორც ითქვა, მთავარი ბატონები დედასთან იყვნენ, გარდა ამისა, იტყოდნენ: ბავშვი ყრუ-მუნჯი შეეძინებაო [17; 51]. სახადების დროს ოჯახში იკრძალებოდა სანთლის ანთება, რადგან ბატონებს სანთლის სუნი არ უყვარდათ (განსხვავებას ვხვდებით სამცხე-ჯავახეთის კათოლიკე მოსახლეობაში, რომლებიც ეკლესიაში მიდიოდნენ და იქ ანთებდნენ სანთელს).

როგორც აღვნიშნეთ, ბატონებს ყველაფერი ესმოდათ, ხედავდნენ და თუ გაბრაზდებოდნენ, ზოგს დააყრუებდნენ ან დააბრმავებდნენ და ზოგჯერ კლავდნენ კიდეც, ამიტომ არ შეიძლებოდა ბატონების ცუდად ხსენება. ამ მიმართებით საინტერესოა ზედგენიძის ჩანაწერი: „ერთხელ სადღაც ვიყავი, ბატონები მომყვნენ, ბავშვი ავად გამიხდა, ჩემს რძალს გაეგო, შემოვიდა და თან ბავშვი ეჭირა ხელში, თქვე დაბრმავებულეო საიდან მოიტანეთ ცეცხლი, რო მთელ მეზობლებს ნა გადასდოთ და სანყველარი ნა გადაიხადოთ, ასე წაგვეჩხუბა, არ გაიარა ერთ კუირამ და მომიკვდა ბავშვი, სამი დღის მერე იმასაც ავად გაუხდა ბავშვი, დაუბრმავდა და მერე მოუკვდა“ [4; 34].

სამცხე-ჯავახეთში, ბატონებისა და ავადმყოფის გართობის მიზნით სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ: დაუკრავდნენ ჩონგურზე, ყავალზე (სტვირი), ფანდურზე, იცეკვებდნენ და **იავნანას** იმღერებდნენ. იავნანას დედა, ბებია ან ვინმე სხვა, ვინც იცოდა, ის იმღერებდა. გადმოცემით, **ბატონები** იავნანას გარდა სხვა სიმღერას არ მიიღებდნენ.

ჩვენ მოვიტანთ სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული **იავნანის** ერთ-ერთ ვარიანტს, რომელიც ბატონებზე ხალხის წარმოდგენას ნათლად ახასიათებს:

თეთრი ზღვიდან წამოვედით შვიდი და-ძმანი, იავნანიო,
 შვიდსა სოფელს შემოვეფინეთ, იავნანიო,
 ისე შევედით სოფელში, იავნანიო,
 ძალი არ შეგხვამიანებია, იავნანიო,
 ისე დავიარეთ სოფლები, იავნანიო,
 კაცი არ გვიწყენინებია, იავნანიო,
 ბატონების მამიდასა უდგას ჩალხის აკვანიო, იავნანიო,
 შიგ უნევს ბატონის შვილი, იავნანიო,
 თავითი უდგია ოქროს თასი, იავნანიო,
 შარბათით (ტკბილი თაფლის წყალი) ნამავსო, იავნანიო,
 აქ ბატონების მოსულან, მოსულან მობრძანებულან, იავნანიო,
 ბატონების მამიდასა წინ გაუშლით ხალიჩასა [4; 31].

როგორც ვხედავთ, აქ მოტანილი ტექსტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული იავნანის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ სახადების დროს წითელი თუ სხვა ფერის ნაჭრების ჩამოფარება და ავადმყოფის ოთახის მორთვა ყვავილებით, ტკბილეულით თუ სხვა მისთვის სასიამოვნო საგნებით, ასევე მუსიკა – დადებითად მოქმედებს ავადმყოფის ფსიქიკაზე [10; 126-138].

მუსიკისა და სიმღერის გამოყენებას სხვადასხვა დაავადების დროს მიმართავდნენ არა მარტო საქართველოსა და კავკასიაში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ეს წესი უძველესია. მუსიკას ჰქონდა როგორც დამამშვიდებელი, ისე სამკურნალო დანიშნულება.

ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებშიც აღნიშნულია რომ სიმღერა, მუსიკა და ყველაფერი ის რაც სასიამოვნოა ავადმყოფისათვის, დადებითად მოქმედებს მასზე და თანამედროვე მედიცინითაც გამართლებულია.

სამცხე-ჯავახეთში ბატონები თუ **განაწყენდებოდნენ**, მაშინ ავადმყოფი ბავშვის მდგომარეობა მძიმდებოდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ **განაწყენებული** ბატონები საშიში იყო, როგორც ავადმყოფისათვის, ასევე იმისათვის, ვისაც ის შეხვდებოდა **განაწყენებულად**, რადგან მასაც მძიმედ დაემართებოდა.

ბატონებიანი ბავშვი თუ მძიმედ იყო ავად, მაშინ სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ: დანაყილი კაკლის გულს თხის ქონში აურევდნენ, რომელსაც **ბაზმას** ეძახდნენ და ავადმყოფს თავთან მარჯვენა მხარეს დაუდგმდნენ, ის იწოდა, მისი სუნი კი ბავშვზე კარგად მოქმედებდა, იტყოდნენ: კაკალია ბატონების წამალიო. ასევე ბატონებს ბავშვის დედა მუხლმოდრეკით მოუბოდიშებდა შემდეგი სიტყვებით: „დედა ვარ და მაპატიეთ, ჩვენ ვერ გხედამთ, ჩვენ ბრმები ვართ და თქვენ თვალხილული, მაპატიეთ ბავშვი არ შემინუხოთ“ ან, „ღმერთო, შენ იცი გვიშველე და დაგვეხმარე, გვაჩუქე ჩვენ შვილი“ [18; 33]. იცოდნენ აგრეთვე ბავშვის თავთან, წითელი თიკანის დაბზა და ოთახში წითელი თოკის გაბზა, გადმოცემით: ბატონები თოკზე დასხდებოდნენ და ბავშვს თავს დაანებებდნენ. ამავე მიზნით სახადის კულტი შეუთქვამდნენ **ბატონების დედასთან** წასვლას, იტყოდნენ: თუთრ ტანსაცმელს ჩავაცმევთ და ისე მოვიყვანთ თქვენ კარზეო.

ბატონების დედის როლში აღნიშნულ რეგიონში **წმ. ბარბარე** გამოდიოდა. მოსახლეობა მის სახელზე აგებულ ეკლესიებში დადიოდა, გარშემო შემოუვლიდნენ ტაძარს და თან საღვთო მიყავდათ, ზოგი მტრედსაც გააფრენდა და სხვა.

სამცხე-ჯავახეთში **წმ. ბარბარეს** ეკლესიები იყო ასპინძის რაიონში, სოფ. ტოლოშში, სოფ. ერკოტას უბანში, ასევე ახალციხის რაიონში, ურაველში და სხვა.

თითქმის მთელ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გამოკლებით, ბატონების მფარველად **წმ. ბარბარე** გვევლინება. მის სახელზე აგებულ ეკლესიებში მოსახლეობას ბარბარობას შესანიერი მიჰქონდა [3; 86].

სვანეთში, ბარბარეს წმინდა მკურნალის ეპითეტიტ იხსენიებდნენ, ასევე სამეგრელოში, ბატონებით დაბრმავებულნი წმ. ბარბარეს შველა-დახმარებას ევედრებოდნენ და შესანიშნავის მირთმევას აღუთქვამდნენ [2; 49-50].

საყურადღებოა, რომ სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი კათოლიკე მოსახლეობა, ბატონებს **წმ. ელიას, ღვთისმშობელსა და სამებას** უკავშირებდა. ბატონებს ისინი მათგან მოვლენილად თვლიდნენ, მაგ., წმ. ელიაზე იტყოდნენ: მაგების უფლება მაგას ჰქონდაო, ის დადიოდა და დაჰქონდა ეს ავაღმყოფობაო [18; 1988].

ბატონების მოხდის შემდეგ, იცოდნენ მისი გაცილება **გაპატიჟება**. მაგ., როდესაც ბავშვი ბატონებს მოიხდოდა, ოჯახი ტაბლას აალაგებდა, ნაწილ ტკბილეულს ბავშვს შეაჭმევდნენ, შემდეგ გაპატიჟების მიზნით, ტაბლას ტკბილეულთან ერთად სახლიდან გარეთ გაიტანდნენ და გამვლელ-გამომვლელს გაუმასპინძლდებოდნენ, თან იტყოდნენ: „საიდანაც მობრძანდით, იქით წაბრძანდით“ ან „ბატონებო აბრძანდით, სხვაგან წაბრძანდით, უვნებლად წაბრძანდით“. ზოგჯერ ტაბლას მდინარესთანაც გაიტანდნენ, ტკბილეულს შიგ გადაყრიდნენ და იტყოდნენ: წყალს წაყვესო [4; 35]. ბატონების გაცილების მიზნით, ზოგჯერ პურის კოკრებსაც გამოაცხოებდნენ და ბოდზე ჩამოკიდებდნენ [7; 111].

გადმოცემით, მონათლულ ბავშვს იოლად შეხვდებოდა ბატონები, მოუნათლავს კი რთულად. ბატონებისაგან ბავშვი თუ დაიღუპებოდა, იტყოდნენ: ბატონებმა მიირთვაო და დედას მის გარდა სხვა შვილიც თუ ჰყავდა, მაშინ ვერ იტირებდა, ვერც შავს ჩაიცვამდა, რადგან ბატონები გაბრაზდებოდნენ. გარდაცვლილ ბავშვს ღამე, ჩუმად დასაფლავებდნენ საერთო სასაფლაოზე, საფლავზე კი მტრედს გადაუფრენდნენ. მოსახლეობის რწმენით, ბავშვი ოთხ წლამდე ანგელოზად იყო მიჩნეული, ცუდს ვერაფერს გააკეთებდა და ამიტომ სიკვდილის შემდეგ სამოთხეში ხვდებოდა. უფრო მოზრდილი ბავშვი კი რამდენიმე დღე უფალს განსანმენდელში ჰყავდა და თუ ცოდვიანი აღმოჩნდებოდა, მაშინ ჯოჯოხეთში მოხვდებოდა.

როგორც ვხედავთ, სამცხე-ჯავახეთში, ბატონები ღმერთთან იყო დაკავშირებული, ისინი ღვთისგან გამოგზავნილ სავალდებულო სწეულებად მიაჩნდათ, და თუ გართულდებოდა, მაშინ ბატონების წყრომას მიაწერდნენ.

ზემოაღწერილის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ რეგიონში ბატონების მფარველად **წმ. ბარბარე** მიაჩნდათ. შეხედულება ბარბარეზე, როგორც გადამდებ სწეულებისაგან მფარველ და თვალთა შუქის უზენაეს ბატონ-პატრონზე, ყველა ქართველ ტომში არსებობდა. გადამდებ სწეულებათაგან ის სპეციალურად ყვავილის, წითელას და სხვა საყმაწვილო სახადის ღვთაებად ითვლებოდა [2; 49-50].

რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის კათოლიკე მოსახლეობას, აქ ბატონების მფარველად **წმ. ელიას, ღვთისშობელს და სამებას** თვლიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღწერილი წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების ჩამოყალიბებაში დაავადებათა რეალური გამოვლინებაც იყო გათვალისწინებული. მაგ., ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, სახადები **ღვთის ვალად**, ღმერთის წინაშე ერთხელ მოსახდელ ვალდებულებად მიაჩნდათ, რაც ალბად, ამ დაავადებათა ხასიათმა, კერძოდ, იმუნიტეტის გამო-მუშავების უნარმა განსაზღვრა. ეს თავისთავად კი საკვლევი რეგიონის მოსახლეობის სწორ დაკვირვებაზე მეტყველებს.

მოსახლეობის სწორ დაკვირვებაზე მიგვანიშნებს სხვა ფაქტებიც. როგორც ითქვა, მოსახლეობა სახადებს, ყველაზე მეტად კი ყვავილით დაავადებულს ერიდებოდა. როგორც დავინახეთ, ავადმყოფის ოჯახი ყველა საშუალებას ხმარობდა მათ პატივსაცემად. სუფთა, ფერად-ფერადი ნაჭრებით მორთული სახადის კულტი ოთახი, მუსიკა, სასიამოვნო სურნელი, ყოველგვარი სურვილების დაკმაყოფილება, ხმაურის, ჩხუბისა და ტირილის აკრძალვა, რაც თითქოს ბატონების საამებლად იყო მიმართული, სინამდვილეში კი თვით ავადმყოფს მშვიდ ატმოსფეროსა და სასიამოვნო განწყობას უქმნიდა, რაც სწეულის საერთო მდგომარეობაზე დადებითად მოქმედებდა.

ავადმყოფისათვის სავსებით მიზანშეწონილი იყო აგრეთვე წოლითი რეჟიმი, მსუბუქი დიეტა, სხვადასხვა სახის აკრძალვები, მაგ., გამონაყარის მოქავება და სხვა.

ასევე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სამცხე-ჯავახეთში დამონმებული ყვავილის აცრის მეთოდი, რომელსაც აუცილებლად შედეგი უნდა გამოეღო ამ დაავადების შესამცირებლად.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Абакелиа Н., Миф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991
2. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბარბარ). თბ., 1951
3. Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тб., 1957
4. ზედგენიძე გ., ჯავახეთი, მშობიარობა, ბავშვის აღზრდა. I, 67, 1946
5. ივერია, 1892
6. იოსელიანი ა., აცრით ყვავილის მკურნალობის ისტორიიდან ძველ საქართველოში, კრბ. „ივანე ჯავახიშვილი“, თბ., 1977
7. მაკალათია ს., მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938
8. მინდაძე ნ., ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981
9. მინდაძე ნ., რელიგიური სინკრეტიზმი ქართულ ხალხურ მედიცინაში, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001
10. Минкевич Е., Музыка как медицинское средство на Кавказе. Сравнительное исследование, ПЗКМО, С-Пб., 1892-93
11. ნებიერიძე ლ., იმერეთის ეთნოგრაფიული დღიურები, 1993
12. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, II, 1993
13. სააკაშვილი მ., გელაშვილი ა., საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წიგნი II, 1958
14. Тернер В., Символ и ритуал, М., 1983
15. ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1997
16. ჩირგაძე ნ, ახალქალაქის რაიონის ეთნოგრაფიული დღიური, II, 1990
17. ჩირგაძე ნ, ახალციხის ეთნოგრაფიული დღიური, III, 1988
18. ჩირგაძე ნ., ასპინძის ეთნოგრაფიული დღიური, V, 1988
19. ცნობის ფურცელი, 1897, № 236
20. წიგნი სააქიმოი, თბ., 1936
21. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950

Nino Chirgadze

The Cult of Childhood Diseases in Samtskhe-Javakheti

Summary

This article is concerned with the beliefs and customs about childhood diseases, in one of the regions of Georgia, Samtskhe-Javakheti.

According to these beliefs, in Samtskhe-Javakheti, childhood diseases are considered to be a relapsing fever sent by God and with which children fall ill once in their life.

According to these beliefs, there exist certain customs which are designed to please the angels, **angelozebi**, by whom these diseases are caused.

These beliefs connected with relapsing fevers, which existed not only in Samtskhe-Javakheti but also in all of Georgia, were conditioned by one of the characteristic features of these diseases - the creation of immunity.